



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 27 აპრილი, 2018 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო "ციტადინი"

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნანა ფიროსმანაშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
2. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია„
3. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
4. ირინა სვანიძე - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
5. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
6. ნატო არღვლიანი - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
7. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
8. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერჯო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
9. ვახტანგ ზარქუა - ენერჯოეფექტურობის ფონდი
10. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისათვის
11. ნუგზარ კოხრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“

განსახილველი საკითხები:

- წლიური სამუშაო შეხვედრების თემატური დაგეგმვა და შეხვედრების განრიგის შედგენა;

- საპარლამენტო მოკვლევის პროცესისათვის გარემოსდაცვის საპარლამენტო კომიტეტსა და ეროვნული პლატფორმის მე-3 სამუშაო ჯგუფის წევრ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, პოზიციებისა და წინადადებების ჩამოყალიბება;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმის მე-3 სამუშაო ჯგუფის მიერ ტრანსპორტის საკითხებისადმი შემოთავაზებული წინადადების განხილვა.
- სხვა მიმდინარე საკითხები.

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა მანანა დევიძემ, რომელმაც ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან ისაუბრა ჯგუფის სამომავლო საქმიანობისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხზე, ასევე რეგიონებთან ურთიერთობების გაღრმავებაზე აუცილებლობაზე და მათთან აქტიურ თანამშრომლობაზე.

ჯგუფის კოორდინატორმა დამსწრეებს შესთავაზა წინადადება, რომ წევრების მიერ შემუშავდეს საპროექტო წინადადება, რომელზეც აღნიშნული ჯგუფი იმუშავებს. მან სთხოვა კოლეგებს შეხვედრის მიმდინარეობისას მოინიშნონ ის საკითხები, და შესთავაზონ მას თავიანთი წინადადებები, თუ რა მიმართულებით შეიძლება მოხდეს მუშაობის წარმართვა, აღნიშნული საპროექტო განაცხადის ფარგლებში.

მეორე საკითხად ქალბატონმა მანანამ ყურადღება გაამახვილა იმ შეხვედრაზე, რომელიც ჩანიშნულია 1 მაისს, გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტის მიერ. მათ გამოხატეს მზადყოფნა სამოქალაქო სექტორთან აქტიური თანამშრომლობის. შესაბამისად მესამე სამუშაო ჯგუფმა ორგანიზებულად უნდა მოახდინოს მათთან თანამშრომლობის ინსტრუმენტის შემუშავება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა ქალბატონმა ნინო ჩხოზაძემ, ასევე ისაუბრა მოკვლევის ჩატარების კონკრეტულ მიმართულებაზე.

ენერგოეფექტურობის ფონდის ხელმძღვანელმა, ბატონმა ვახტანგ ზარქუამ განაცხადა, რომ ქვეყანაში სერიოზული პრობლემებია ენერგეტიკულ პოლიტიკასთან მიმართებაში და აღნიშნული პრობლემები უფრო მატულობს. დაუსაბუთებელი ენერგეტიკული პოლიტიკა უნდა იყოს მესამე სამუშაო ჯგუფის მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. რადგან მოსახლეობა არის უაღრესად შემფოთებული და მოითხოვს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას, რომ არ მოხდეს სიტუაციის ესკალაცია. მან შესთავაზა ჯგუფის წევრებს რომ განიხილონ ენერგეტიკული პოლიტიკის მიმდინარეობა და თანხვედრი პრობლემების გაანალიზება. მისი განცხადებით აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა უნდა მოხდეს ევროკავშირის წარმომადგენლებთან და სამთავრობო ინსტიტუტებთან ერთად, რომლებსაც შეიძლიათ კონკრეტული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

ბატონი ვახტანგის წინადადებებიდან გამომდინარე ჯგუფმა იმსჯელა წამოყენებულ საკითხებზე და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მესამე სამუშაო ჯგუფი გამართავს სამუშაო შეხვედრას ენერგეტიკის პოლიტიკის საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულ შეხვედრაზე აუცილებლად მოხდება ეკონომიკის სამინისტროდან ამ კონკრეტულ საკითხებზე მომუშავე წარმომადგენლის მოწვევა და ეკონომიკის სამინისტროსთან კოორდინირებული მუშაობა. ასევე განიხილება გარემოს დაცვის სამინისტროდან წარმომადგენლის მოწვევაც.

„მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ ხელმძღვანელმა, მურმან მარგველაშვილმა ისაუბრა ევროკავშირის მიერ გაცემულ ბოლო დირექტივებზე, რომლებიც უშუალოდ მესამე სამუშაო ჯგუფის მიმართულებებს ეხება. მან გააჟღერა მნიშვნელოვანი სამი დირექტივა, რომელთაგან ერთ-ერთია ელექტროენერჯის მესამე პაკეტის დანერგვის სისტემის ჩამოყალიბება, რაც უკავშირდება უამრავ ცვლილებას და რეფორმას. ამ სისტემის ფარგლებში, მოხდება ბაზრის გახსნა და უამრავი ისეთი რეფორმის გატარება, რომელიც ძირეულად შეცვლის ამ მიმართულებით არსებულ რეალობას. მან ასევე ისაუბრა იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც შეეხება ენერგოეფექტურობის შესახებ კანონს და განახლებადი ენერჯის წყაროს შესახებ კანონს. ბატონმა მურმანმა ჯგუფის წევრებს გააცნო ის საქმიანობები და უამბო იმ მიმდინარე პროექტების შესახებ, რომლებსაც მისი ორგანიზაცია ახორციელებს საქართველოში.

აღნიშნულ შეხვედრაზე განიხილეს ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის საკითხებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, განსაზღვრეს თუ რა ფორმით შუძლია მესამე სამუშაო ჯგუფს გავლენა მოახდინოს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, რათა მოხდეს მოსახლეობის ინტერესების მიწოდება და გატარება.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი : ქეთევან ჭურაძე